საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 1 ივნისის
დადგენილება № 678

სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის
ფორმირებისა და მობილობის
ინსტრუქციის ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს სტუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის 2.3 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.3 სტუ-ში უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანი არის ნებაყოფილობითი; არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შესაბამის ჯგუფებში სტუდენტების განაწილების სიები გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილზე. დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური დეპარტამენტები გამოჰყოფენ თანამშრომლებს, რომლებიც სტუდენტებს მიაწოდებენ საჭირო ინფორმაციას, გაუწევენ კონსულტაციებს და დაეხმარებიან მათ თავიანთი პროფილის განსაზღვრაში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ბაკალავრიატში არჩევანის განხორციელების პირობები მოცემულია დოკუმენტში „სტუ-ში ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი“.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე